№ 85
პარასკევი, 23 აპრილი, 1899 წ.

1877—1899

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

# ივერია

№ 85
პარასკევი, 23 აპრილი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 25 აპრილს.

გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე ღირება 7 მან. 25 კაპ.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო ბ-ნის გუბერნატორისაგან ნებართვა გამართოს საზოგადოების სასარგებლოდ

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ.

სეირნობა და ბაზარი გაიმართება მაისის დამდეგს. ვისაც სურს დახმარება აღმოუჩინოს ბაზრის გამართვას, შემოწირულება უნდა გამოუგზავნოს ტფილისში კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

**ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ბანკის წესდების მე-89 §-ის ძალით, წლიური მორიგი კრება ამ ბანკის რწმუნებულთა დანიშნულია 1899 წლის ოცდა თერთმეტ (31) მაისისათვის. კრება მოხდება ქუთაისში, ბანკის გამგეობის სადგომში, შუადღის 12 საათზედ. კრება კანონიერად იქნება ჩათვლილი, რამდენი რწმუნებულიც უნდა გამოცხადდეს.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება ბანკის 1894—1898 წლების მოქმედების ანგარიშებისა.
2. დამტკიცება 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.
3. საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულ თანხის განაწილება.
4. ბანკის წესდების ზოგიერთის §§ შეცვლა და შევსება.
5. შეცვლა და შევსება დამფასებელთა ინსტრუქციისა.
6. გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის იმ წევრების არჩევანები, რომელთაც სამსახურის ვადა გასდით. (3—6.—2)

ნოტარიუსის

## ლევან მღებროვის კანტორა

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში № 2, ერევნის მოედანზედ, თამამ-შოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში. ტელეფონი № 620. (30—6.—30)

## კბილის ექიმი ა. გ. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—9)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი** 6½—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ.)

## მთავრობის განკარგულებანი.

—

თავისისავე თხოვნით სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა: ხოსავ იურტის ოლქის მესამე ნაწილის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი პორუჩიკი თავადი ყაფლანიშვილი შტაბს-კაპიტანის ხარისხითა და მუნდირით.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან აგრეთვე ბორჩალოს სამაზრო პოლიციის სამმართველოს საქმის მწარმოებელი თავ. ბარათაშვილი.

მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის უფროსი გენერალ მაიორი თავადი ხიმშიაშვილი დანიშნულ იქმნა კავკასიის 1 ჯართა კორპუსის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

ებოძა: სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ტიტულიარნი სოვეტნიკობა კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტო სამმართველოს სტოლის უფროსის თანაშემწეს კოლეჟსკი სეკრეტარს თავ. ერისთავს.

დანიშნულ იქმნა: თანამდებობაზედ საგუბერნიო მმართველობის საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებელი კოლეჟსკი სეკრეტარი ჩახნაშვილი.

დანიშნულ იქმნა: სიღნაღის მომრიგებელ მოსამართლის მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად

---

# ფელეტონი

—

* *
*

(უძღვნი ბ. ი. ჩოლაყაშვილს)

ოდეს გიხილე, მამულო,
გულმა იფეთქა, მიამა,
აღმიფრთოვანა გონება
სამშობლოს კარმან ღიამა.

—

მალამოდ მოხვდა კოდილ გულს,
ტკივილი დამიგვიანა,
ყველა მეჩვენა ცის მნათად,
ვარსკვლავ-მთიებად მზიანად;

—

თაყვანი გეცი გულ-წრფელად,
აწ მსურის მოგესალამო,
შენც გევედრები დასწერო,
არ დამელალო კალამო.

—

შენზედ შორს მყოფელს
ათასჯერ სიკვდილი მომნატრებია,
თვით ჯოჯოხეთის ვაება
ამ კრულს გულს უტარებია.

—

ეხლა დამშვიდდა გონება,
შენს ფრთებსა შევეფარები,
შენით გულგამაგრებული
სიკვდილს არ დავემალები.

—

აღარც დამჩაგრავს ობლობა,
რაკი შენ გხედავს თვალები,
შენ, მშვენიერო, ქვეყანად
არვის არ შეედარები.

—

მსურის შეგწირო სიცოცხლე,
ჩემი ღონე და ძალიო,
შენს გვერდზედ სული დავლიო,
შენ დამიხუჭო თვალიო!..

კნ. ნინო ორბელიანისა

## „კატინემ დაარისხა!“

დასასრული *)

ამ რიგად კატინეს თვალ-წინ მეტოქე სცხოვრობდა, ჰხედავდა თვისს საყვარელს ქმარს სხვის მოტრფიალედ და ტანჯვაც გულისა დღითი დღე უორკეცდებოდა და საგონებელში აგდებდა.

თედოსაც თუმცა პირველად ეთაკილებოდა ხალხის მითქმა-მოთქმისა, მაგრამ მერე ისე შეეჩვია, რომ დღე და ღამეებს ცხადად თომაანთ ქვრივთან, თვის ხათლი-დედასთან ატარებდა... ბაბალეს არ ეჭაშნიკებოდა კატინე; თომაანთ ქვრივიც სცდილობდა როგორმე აემხედრებინა თედო კატინეს წინააღმდეგ ჴ მისკენ მიმართული წყევლა-კრულვა ჩაეწყვეტინებინა. სცდილობდა მტრობის სამაგიეროდ გადაეხადნა კატინესათვის და გაეთახსირებინა, მიწასთან გაესწორებინა. ამ ორ არსებათა შორისაც ბრძოლა არსებობდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის და ყველგან, აქაც ძლიერი იყო გამარჯვებული: ბაბალეს ჰფარავდა თედო, მისი სიყვარული, და კატინეს-კი არავინ. კატინეს მფარველი და მოსარჩლე არავინა ჰყავდა... ამასთან გამოცხადებულს ბრძოლას მაინც ვერ უბედავდა, რადგან ყველა ურჩევდა გაჩუმებულიყო, მოეთმინა და შერიგებოდა ასეთს ცხოვრებას. რაღა ეთქმოდა კატინეს: ერთი-ღა დარჩენოდა, გაჩუმებულიყო და ტანჯვით, წვალებითა და გულში ცეცხლის ტრიალით ეთმინა ეს გათახსირება და დამცირება...

ამ სულიერმა ბრძოლამ მისმა გრძნობებისამ კატინე სრულიად დაასუძლურა, ჩამოახმო და რაც სილამაზე და კარგი რამ ჰქონდა, წაართვა. ამ გრძნობამ სიყვარულისამ დასთრგუნა მისი ყოველი გრძნობა, იგი ყველაზედ ძლიერი იყო და დანარჩენი გრძნობანი მიუჩლუნგა და მთლად დაუდამბლავა... თვით სხეულიც მოეშვა და რაღაცა თითქოს უსულო და უმოძრაო საგნადღა გარდაიქცა... ბრძოლა გარეგნული თვის მეტოქესთან მოსპო და მხოლოდ თავისს გულს, თავისს თავს-ღა ესაუბრებოდა და ასე გულ-ჩათხრობილი, გულ-ჩათუთქული მუდამ მდუმარე იმყოფებოდა ოჯახში, სადაც ისეთს მონაწილეობას აღარ იღებდა, როგორც წინად... აღარც არავის შესჩიოდა და ყველაფერს გულში იმარხავდა... რაც უნდა საყურადღებო საგანზედ ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი, ანუ რაიმე ამბავი მომხდარიყო, კატინეს იგი სრულიად არ აინტერესებდა და არავის არ გამოელაპარაკებოდა... აღარაფრის გული აღარა ჰქონდა, იგი გამდნარიყო და მისი გულისცემა ძაფზედ-ღა ეკიდა...

— თედო, დიდი ხანია მინდოდა მომელაპარაკა შენთან, მაგრამ ვერ მოვახერხე. კმარა მოთმენა. შენი ცოლის ლანძღვა-თრევას, ყბად აღებას ველარ მოვითმენ და უნდა რითიმე ხმა ჩააწყვეტინო. ან ის უნდა იყოს და ან მე!.. გესმის, ორში ერთი: ან ის და ან მე?!!

— ქალო, ყურადღება როდი უნდა მიაქციო სხვის ლაპარაკს. ილაპარაკებენ და დაჩუმდებიან... მე ყოველთვის ვაწყვეტინებ ხმას, ვინცკი შენზედ ცუდს იტყვის ხოლმე...

— არა და არა!! შეჰყვირა გაჯავრებულმა ბაბალემ: ეგ არა კმარა, მე იმის დაცინვას ველარ გავუძლებ.

აი აქ გამოსწვეთა იმ შხამმა, რომლითაც სავსეა ზოგიერთის ცბიერის დედაკაცის გული, ის გული, რომელიც გველის გესლიან გულისაგან არაფრით გაირჩევა და რომლის მოშხამვას ვერ წაუვა ნიშანში ამოღებული არსება... აქ სავსებით გამოაშკარავდა შური, რომლითაც ებრძვიან ხოლმე შხამიანი დედაკაცები თავისს მეტოქეს და რომელიც სისხლის დალევრამდისინაც მიაღწევს ხოლმე.

— ხომ არ მოვკლავ იმ უბედურს და სხვა-კი არა შემიძლიან რა!

— როგორც გინდა, ისე მოიქეცი! ჯიუტობდა ბაბალე, რა-კი ხედავდა, რომ თედო იმისს ბრჭყალებში იყო და ადვილად ვერ გაუსხლტდებოდა ხელიდგან. ცბიერებამ თავისი ჰქმნა.

წავიდა გამდლიშვილი თავისს სატრფოსაგან და ჰფიქრობდა რითი და რა გზით დაეკმაყოფილებინა ბაბალეს გულითადი სურვილი, მაგრამ მაინც ვერაფერი ვერ მოეხერხებინა.

—

ერთხელ, ზაფხულის ერთს საღამოს, ჯერ კარგა არ დაბინდებულიყო, კატინემ ვენახისაკენ გაიარა, უნდოდა გული გადაეყოლებინა და იქ განშორებით ყველასაგან უფრო ძლიერ ეტანჯა.

— ამ დროს აქ რა ეშმაკებმა მოგიყვანეს? შეჰყვირა გაჯავრებულმა თედომ, კატინე რომ დაღვრემილი დაინახა: რატო სახლში არ შეიხედავ? შენ როგორღაც გარე-გარე დაიარები და სახლს-კი ყურს აღარ უგდებ.

— ადამიანო! რაზედ ამითვალწუნე ასე?!.. მაშ გარეთ ფეხი აღარ გამოვდგა?.. ლამის-კი ნიორივით ზედ გადამეგლისო-და!.. მე ხომ არას გიშლი და შენ მომასვენე, თავი დამანებე.

— კარგი სახრეები მოგდომებია მგონი, ისე მედიდურად მელაპარაკები. ემად ხმა გაიკმინდე, თორემ...

— თორემ რა იქნება?!. ამის მეტს რაღას მიზამ? რა გწადიან? ის უნამუსო გაგბერავდა ჭორებით, როგორც გეტყობა.

იუდა, ეშმაკით მოგზავნილი, დროს ეძებდა. ბაბალეს ხსენებაზედ თედოს მისი სიტყვებიც მოაგონდა: „ან მე და ან ისაო“?! მხეცმა გაიღვიძა იმისს გულში, გონება დაუხშო და წაართვა ხატება ღვთისა. იგი ველარც არას ჰგრძნობდა და ველარც

*) იხ. „ივერია“ № 84.

ამავე მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიის მოხელე ჩხიკვაძე.

# ახალი ამბავი

⁂ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ, საჭიროდ დაინახა რა იმ ხელთ-ნაწერების დასტამბვა, რომლებიც ტფილისის სიძველეთ-საცავში ინახება, დაადგინა: გადაიდოს ათასი მანეთი ამ საქმისთვის. გარდა ამისა ხსენებულმა საბჭომ დაადგინა იქონიოს დრო-გამოშვებითი გამოცემა და მისი შემწეობით გააცნოს მეცნიერებს საქართველოს საეკკლესიო სიძველენი და მათი დიდი მნიშვნელობა არხეოლოგიისათვის. პირველ ხანებში აზრადა აქვთ დაჰბეჭდონ ქართულ ენაზე: 1) ცხოვრებანი ქართველთა განმანათლებლის და მოციქულთა სწორის ნინოსი, 2) წმ. მოწამის ბარბარესი და 3) ყოვლად-წმიდა ღვთის-მშობლისა—დაუჯდომლებით.

⁂ რადგანაც ახლო მომავალში შესრულდება ასი წლიწადი, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა (12 ოქტომბერს 1901 წ.), საჭიროთ დაუნახავთ აღნუსხონ და მეცნიერულათ გამოიკვლიონ ყველა ის მასალა, რომელიც ქართ-კახეთ იმერეთის სინოდილურ კონტორის არხივში ინახება, რისთვისაც შესდგა განსაკუთრებული კომისია ყოვლად სამღვდელო კირიონის თავმჯდომარეობით. ამ კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ ბ-ნი ა. ნატროშვილი, ანჩის-ხატის ეკკლესიის მღვდელი პ. კარბელაშვილი და ტფილ. სასულიერო სემინარ. მასწავლებელი ი. ფერაძე.

⁂ გუშინ-წინ სცენის მოყვარეთა მიერ სახალხო წარმოდგენა იქმნა გამართული ავჭალის ქუჩაზე, იმ შენობაში, სადაც სახალხო კითხვები იმართება ხოლმე. თამაშობდნენ გიორგი ერისთავის კომედიას „დავას“. ხალხი ბლომად დაესწრო. მოთამაშეთ საზოგადოდ არა უშავდათ რა, თუმცა-კი ცოტა გაწვრთნა აკლდათ.

⁂ ყოვლად სამღვდელო კირიონს, ალავერდის ეპისკოპოსს, შუამთის მონასტრის ქონებიდგან ტფილისის საეკკლესიო მუზეუმისათვის შეუწირავს ათი თუმანი.

⁂ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა პარიჟის მომავალ გამოფენაზე რუსეთის განყოფილების გამმართველ უმთავრესის კომისარის ხელ-ქვეითი ბ-ნი ნიკოლაევსკი. ბ-ნმა ნიკოლაევსკიმ უნდა გაიცნოს და გამოიკვლიოს ზოგიერთა საკითხავები კავკასიის მიერ პარიჟის გამოფენაზე მონაწილეობის მიღების შესახებ.

⁂ როგორც კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, ტფილისის გუბერნიაში სულ 10 სასოფლო სამკურნალო ქსენონი ყოფილა. წასულ წელს ამ ქსენონებისათვის მიუმართავს სულ 81,685 კაცს. აქედგან აშკარადა სჩანს, თუ რამდენად იმაზედ მეტი სამკურნალო დაწესებულებაა საჭირო ტფილისის გუბერნიისთვის, ვიდრე ეხლა არსებობს.

⁂ სოფელ იყალთოს, სოლომონ ქურბატაშვილის ვენახში, ვიღაც ბოროტ-მოქმედს ათას ხუთასი ძირი ვაზი გაუჩეხნია. გარდა იმისა, რომ ასეთი საქციელი ყოვლად საზიზღარია, საწყალ გლეხისათვის სამას თუმნამდის ზარალი მიუცია იმ ბოროტ მოქმედს.

⁂ 24 აპრილს ბათუმში ჩამოვა სახელმწიფო რკინის გზათა უმთავრესი ინსპექტორი ინჟენერი გორჩაკოვი, რომელმაც უნდა დაათვალიეროს ბაკურიანის რკინის გზის შტო. („ახ. მიმ.“)

⁂ გაზეთ „კავკაზს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ 21 აპრილს პეტერბურგიდგან ტფილისში წამოსულან კავკასიის მთავარ-მართებლის მეუღლე კნეინა მ. ფ. გოლიცინისა და ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი სვეჩინი.

⁂ გაზეთ „კავკასის“ სიტყვით, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ახალი უფროსი გენერალ მაიორი ბელიავსკი ტაშკენტიდგან ტფილისში 12 მაისს ჩამოვა.

⁂ დ. ზესტაფონი, (შორაპნის მაზრა). ამას წინად ნორმალურ სასწავლებლის ეზოში მაზრის უფროსმა და ამ სასწავლებლის ზედამხედველმა, დირექციის მოწერილობის თანახმად, მოიწვიეს მკვიდრნი და სთხოვეს: სკოლას მიწა არა აქვს, ბავშვები ეზოში ვერ მობრუნებულან, სამეურნეო განყოფილება უკიდურესს მდგომარეობაშია უმიწობით და დახმარება აღმოგვიჩინეთო. ოც წელზე მეტია, რაც ეს სასწავლებელი არსებობს, შორაპნის მაზრას დღემდე მეტი არა გაუჩნია-რა და სცფიქრებელი იყო, რომ ყველა სულით და გულით მოეკიდებოდა ახალ საქმეს, მაგრამ მოლოდინი გაგვიცრუვდა და სწორედ იქ წავიკარით ფეხი, სადაც არ მოველოდით. საქმე ის არის, რომ აქაც გამოცოცდა „ბაზრობიას“ პარტიობა და ბევრს ზედა-ბაზრელს ხელ-ახლა აუშალა მადა: წავიღოთ სასწავლებელი ზედა-ბაზარშიო, იყვირა ერთმა ზედა-ბაზრელთა „მოთავემ“. იმას ბანი მისცეს სხვებმა და, მართლაც, მადლობა ღმერთს, რომ დედა-ბუდიანად არ გადაავგორეს ეს იმოდენა სახლი. ბედ-შავო ჩვენო თავო! თურმე რას არ აფიქრებინებს კაცს ვაჭრული ანგარიში! თუ ღმერთმა წინანდებური „ვექილები“ არ გამოულიათ ზედა-ბაზრელთ, ვგონებ, სასწავლებელსაც დაუგდონ კეტი. ისკი ავიწყდებათ, რა ვეება ფული ღირს ის შენობა და მიწა, რომელიც სკოლის გადატანის შემდეგ გაუქმდება, თუ კიტრის ფასად არ გავყიდით. ბატონებო! ვაჭრობა ცალკე იყოს, „ბაზრობიაც“ ცალკე და თუ სწავლა გსურთ, თუ ქუთაისში შვილების შენახვა გიმძიმთ, დროა სხვა-ნაირად მოვიქცეთ, თორემ ერთმანეთის ქოჩვრა და წაკიდებ-წამოკიდება მტერს გაახარებს და მოყვარეს დაალონებს, მეტს არაფერს მოგვიტანს. თავ შეყრილთა ერთმა მუჭა ნაწილმა დაადგინა: ჩვენ გავიღოთ რამდენიც შევიძლოთ, და 150 ოთხ-კუთ. საჟენი მიწა მაინც ვიყიდოთო. ღმერთო მოგვხედე და ნუ დაგვყრი მგლის კერძად, ნუ გაგვატანინებ ყველაფერს ყანთარზედ და „ჩოთქზედ“, თორემ ველარაფერს ველარ ეღირსებიან ჩვენი ბავშვები!..“

⁂ აგრონომი ფირალოვი გაგზავნილ იქმნა თერგის ოლქში კალიის წინააღმდეგ საშუალებათა მისაღებათ („ახ. მიმ“.)

⁂ გაზეთ „კავკასის“ სიტყვით, ნახიჩევანის ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორს ბ-ნ ქუთათელაძეს და ბაქოს სადამოჟნო მოხელეს ბ-ნ მჭედლიშვილს წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი ებოძათო.

⁂ ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების დირექტორი ბ-ნი როზი ქალაქის გამგეობასატყობინებს, რომ მე ტფილისიდგან მივდივარ და ჩემ მოადგილეთ ვტოვებ ნაფიც ვექილს ვ. ნ. პახომოვსაო.

⁂ გუშინ წინ, მუხრანის ქუჩაზე, წყლის მილის შესწორების დროს მიწა ჩამოწოლილა და ქვეშ დაუტანია წყლის მილის სახელოსნოს მუშა ფრიდრიხ ნერინგი. საბრალო ნერინგი ისე ძრიელ დაშავებულა, რომ მიხეილის საავადმყოფოში მიყვანისათანავე გარდაცვლილა.

⁂ „ახ. მიმ.“-ს სწერენ ქუთაისის მაზრის სოფ. ჩაგანიდგან, რომ 19 აპრილს აქ ცეცხლი წაეკიდა დიმიტრი ქაჯაიას სახლსაო. გადამწვარა მთელი შენობა, მხოლოდ რამდენიმე ნივთი გადურჩენიათ. როგორც თვით დაზარალებულთ უთქვამთ, ცეცხლი სახლს სამზარეულოდგან გაჩენია. ზოგი იმასაც ამბობს თურმე, რომ ცეცხლი სხვათ წაუკიდეს ბოროტ-განზრახვითაო.

⁂ ტფილისის საყასბოს ბეითალთ მიჰმართეს ტფილისის ბავშვეთათვის მზრუნველ საზოგადოებას და სთხოვეს ყურადღება მიაქციოს ამ საზოგადოებამ იმ გარემოებას, რომ ყასაბს შაქრო გეგელაძეს მუშათ საქონლის დაკვლის დროს 15 წლის ყმაწვილი ზაქიაშვილი ჰყავს. ბეითალები ამბობენ, რომ 18 წლისაზედ ნაკლებს კანონის ძალით აღკრძალული აქვს საყასბოში მუშაობა, რადგანაც საქონლის კვლის სურათი ცუდათ მოქმედებს ბავშვის ბუნებაზედაო.

⁂ ტფილისის მეხუთე ნაწილის პოლიციელს გუდაშვილს, ღამით, 18 აპრილს, ოქრომჭედლის მამულოვის დუქნიდგან რაღაც ხმაურობა მოესმა თურმე. გუდაშვილმა ეს ამბავი მეორე პოლიციელს, გვარად ბონდარენკოს შეატყობინა, იგი კარებთან დააყენა და თითონ დუქნის ბანზე ავიდა და ფანჯრიდგან დაინახა, რომ ორი კაცი დუქანსა ჰქურდავდა. გუდაშვილმა განგებ რევოლვერი გაისროლა. და ვიდრე ქურდები გაქცევას მოასწრებდნენ კიდევაც შეიპყრო იგინი. ორივენი ტფილისის მცხოვრებნი აღმოჩნდნენ: ერთი ალექსანდრე ლომიძე და მეორე გრიგოლ ეზიროვი. ქურდები მეტეხის ციხეში გაჰგზავნეს, ხოლო გუდაშვილს და ბონდარენკოს ერთგულებისათვის

---

არას ჰხედავდა. წამოავლო დიდს კეტს ხელი და როგორც-კი მოუღერა კატინეს დასარტყმელად, ქალმა უკან დაიწია და უხდოდა გაქცეულიყო, მაგრამ ძალამ უღალატა და იქვე უგრძნობლად დაეცა. თედოც უცბად გამოფხიზლდა ამ საშინელის მდგომარეობიდგან და უგრძნობლად მდებარე კატინეს მოჰკრა თვალი.

II

შემოდგომის მშვენიერი დილა იყო. ქ. გ—საკენ ურემი მიჰრიალებდა. შიგ ორი ქალი იჯდა და ურემზედ შაქრო, კატინეს უფროსი ვაჟი, მიერეკებოდა საქონელს. კატინე თავისის დით ტფილისში მიემგზავრებოდა. მისი და ნინო იქ კარგა შეძლებულს ვაჭარს ჰყავდა და ეხლა გაიწვია თავისთან, რათა გაერთო კატინე და გულზედ მოწოლილი დარდები გაექარვებინა... ისეთი თავ-ზარდამცემი იყო კატინესათვის თედოსაგან მიყენებული ბოლონდელი უკადრისობა, რომ ვერ მოენელებინა ყველა ეს და დიდს საგონებელს მისცემოდა... მისი სიცოცხლე სულ თახაბრად მიმდინარეობდა: არავის ხმას არა სცემდა. თავის შვილებსაც და რძლებსაც კი იშვიათად ელაპარაკებოდა და ყველა იმ დასკვნას დაადგა, რომ კატინე თავის ჭკუაზედ აღარ არის, სიცოცხლისაკენ პირი აღარა აქვსო.

— რა არის, კატინე, შენი ეგე ყოფა? ამოიგლიჯე გულიდამ შენი ქმარი და ისე ჩასთვალე, მითომც მოგკდომია... ეგრე რად იწუხებ თავს?!

— ოჰ, რომ იცოდე, დაო, რა ცეცხლი ტრიალებს ჩემს გულში, მაშინ მაგ სიტყვებით უფრო არ მომკლავდე... როგორ ამოვიგლიჯო გულიდამ, როცა გულს არ ეთმობა?!. მკვდარი რომ იყოს სხვაა და როცა ცოცხალია და მეკი აღარ მეკუთვნის, აი ეს არის უბედურობა. ისე ვეჯავრები, რომ ახლოს აღარც-კი მეკარება.

— რა ვუყოთ, განა მარტო შენ ხომ არა ხარ მაგალითი? უნდა მოითმინო...

— განა ამაზედ მეტი მოთმენა კიდევ შეიძლება? ჩვენს სიყვარულს, ალერს განა ასეთი უბედური ბოლო მოსდევდა? ჩემს პირველს გვირგვინს, ჩემს სიამაყეს, ჩემს პატივსა და სახელს სხვა დაჰპატრონებია. სხვა ძღება მისის ცქერით, სხვას ეკუთვნის იგი და ამის დამნახველს კიდევ მესიცოცხლება?! განა ათასჯერ სიკვდილი არა სჯობიან ამ ყოფას?! იმას, რომელსაც ერთს დროს გაგიჟებით ვუყვარდი, ჩემის გულისათვის სხვას თავს შეაკლავდა, მხოლოდ ჩემზედ ჰფიქრობდა, დღეს მე აღარ ვუყვარვარ, სხვას მისცა ერთხელ ნაკუთვნი ჩემთვის გული და განა მოთმენა შეიძლება?.. თუ მოთმენა შეიძლება, აი აკი ვითმენ? სხვა რაღა ვქნა?!

— ნუ დარდობ აგრე ძრიელ; შენს თავს უნდა გაუფრთხილდე, გული უნდა გაიმხიარულო და ოჯახს მიჰხედო ძველებურად.

— ოჯახს თავი, პატრონი აღარა ჰყავს. დიდი ხანია ჩვენი ოჯახი ძირს დაემხო და ჩირქი მოეცხო.

კატინემ თავისს გულის ამონადუღი ვარამი მთლად დას გადაუშალა, გული ამითი მოიოხა და ამ ბაასის შემდეგ ჩვეულებრივად დუმილსა და ფიქრს მიეცა. რამდენჯერ გამოელაპარაკა ნინო, მაგრამ არც ერთხელ არ უპასუხნია. ჩვეულებრივმა სენმა მოიცვა მისი არსება.

რამდენიმე თვე დაჰყო კატინემ დასთან, მაგრამ დარდები მაინც ვერ გადაიყარა გულიდგან, ვერ მოენელა და ისევ ასეთის აშლილის გუნებით დაბრუნდა სოფელში.

III

„აღდგომის“ დღე თენდებოდა. ზარის წკარუნი მთელს სოფელს მე—ს ეკკლესიისაკენ იწვევდა და აღდგომას ქრისტესას ახარებდა. ყველა სიხარულით გარბოდა იქითკენ. დიდისა და პატარას გული სასიხარულოდ მომზადებულიყო. გარდა იმისა, რომ ქრისტე აღსდგებოდა, შვიდი კვირის მარხულობასაც ბოლო ელებოდა და ეს გარემოებაც მათს სიხარულს აორკეცებდა...

ყველა ეკკლესიისაკენ გაიხვეტა. თედო გამდლიშვილიც მოირთო და შვილებითურთ და რძლებით საყდრისაკენ გაემგზავრა. სახლში მხოლოდ კატინე-ღა დარჩა. ამ დღემ მას სიხარულის ნაცვლად დარდი და ვარამი გაუძლიერა... შარშან ამ დროს იგიც ბედნიერად სთვლიდა თავს: ქმარი თავისად ეგულებოდა და მისის სიყვარულით სტკბებოდა და კმაყოფილებდა. შარშან ამ დროს კატინეს გულიც ჰხარობდა, „აღდგომას“ სიხარულითა და მარხულობით ეგებებოდა და ეკლესიაშიც მორთულ-მოკაზმული და უდარდელი ქმარ შვილით გაემგზავრებოდა ხოლმე. მთელს ღამეს მეორე დღისთვის მზადებაში და კვერცხების ღებაში ატარებდა და მთელს ოჯახს რიგსა და შნოს ანიჭებდა... დღეს კი სულ სხვა იყო: მისი გულის ძღერა სულ სხვას ამბობდა, სხვა ჰანგზედ მოძრაობდა. ის სიხარული და აღტაცება წინა წლებისა სიზმარებრ განჰქრა. ყველა წავიდა საყდარში და მხოლოდ კატინეღა დარჩა, მოაგონდა თვისი წარსული, თვისი ერთგულება ოჯახისა, ქმრისა; მოაგონდა განვლილი კმაყოფილება და დღევანდელს ტანჯვას შეადარა, დაუპირდაპირა. იგი დღეს სრული ობოლი და უპატრონო იყო. წამოჯდა ლოგინზედ და დაიწყო თვისი მდგომარეობის გათვალისწინება, დაკვირვება. მოაწვა გულზედ მოგროვილი ვარამი და ბავშვივით ქვითინი ამოუშვა... სტიროდა კატინე დაკარგულს, გაცოცხლებულს სიყვარულს, ბედნიერს წარსულს, ამ ტანჯვა-ვაებას და ვერ მოეგონა რითი განეთავისუფლებინა თავი ამ ჯოჯოხეთურ მდგომარეობიდამ. ტირილთან ერთად მწარედ მოსთქვამდა საცოდავი კატინე: „ნეტავი, ღმერთო, რა დაგიშავე, რა მე გცოდე ისეთი, რომ ასე უზომოდ მტანჯავ და მათახსირებ... რაღად მინდა ამისთანა სიცოცხლე.. მომკალ და მომარჩინე ვაივაგლახსა!“-ო. ტირილით რომ თავი მოიოხა ისევ ლოგინში წამოწვა, უნდოდა ცოტა ხანს წაეძინა, მაგრამ გული უღელავდა, მოუსვენრობდა და ბოლმა გულზედ აწვებოდა. . ისევ ტირილში ჰპოვა შეღავათი: ჩაჰყო ბალიშში თავი და ცრემლის ნაკადულებით დაასველა იგი.. ამ ცრემლებში ეხვია ის ტანჯვა, მწუხარება, რომელიც კატინეს ჯანს აღნობდა და ამკვდარებდა... შემდეგ ადგა, ჩაიცვა და უნდოდა ხატთან ელოცნა. აუნთო წმინდა სანთელი, დაიჩოქა ხატის წინ და უნდოდა ლოცვაში გაეტარებინა რამდენიმე წუთი... მაგრამ რა ელოცა? მუხლ-მოდრეკილი იდგა ხატის წინ, მაგრამ კრინტს ვერა სძრავდა: ღმერთო! ერთი კი ამოიკვნესა და ძალა აღარ შესწევდა სალოცველადარა, ღმერთიც უსამართლო ყოფილა, განა დავიმსახურე ასეთი ბედი?! გაუელვა ეჭვმა გონებაში... რატომ დედამიწა არ გასკდება, რომ ის ურცხვი დედაკაცი თან ჩაიტანოს!. რატომ ცეცხლს არ ჩამოაგდებ ღმერთო, რომ დაეცეს იმ ურცხვსა და დასწვას და დასდაგოს?!. რატომ არ ამოაგდებ იმისთანა ადამიანს, რომელიც ურცხვილოდ შევარდნილა სხვის ოჯახში და იქ მყუდროებასა და ბედნიერებას არღვევს?!..

ამ დროს მღვდელი საყდარში „ქრისტე აღსდგა მკვდრეთითსა“ გაიძახოდა და ქვეყანას „სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვას“ ახარებდა... „სადა არს, სიკვდილო, საწყოეთელი შე-

პოლიცმეისტერმა ფული აჩუქა: გუდაშვილს—4 მანეთი და ბონდარენკოს—2 მანეთი.

## წერილი გორიდგან

—

„ივერიის“ მე-78 ნომერში წავიკითხე გორიდგან მოწერილი ამბავი ოქონის სამრევლო სკოლის შესახებ. ეტყობა, ამბის მომწერი არა ყოფილა გორის მცხოვრებელი, თორემ უთუოდ ნამდვილს, ჭეშმარიტს ამბავს გადასცემდა „ივერიის“ მკითხველთ თვით ოქონის სამრევლო სკოლისა და იმ მიზეზების შესახებაც, თუ რამ მიიზიდა მრავალი მლოცავი ოქონის ეკლესიაში.

მრავალმა მლოცავმა იწყო სიარული ოქონის ეკლესიაში 1892 წლიდგან, როდესაც ამ ეკლესიაში დანიშნულ იქმნა წინამძღვრად პატივცემული დეკანოზი გრიგოლ ღამბაროვი, და არა სამის წლის წინად, როდესაც სამრევლო სკოლის მოწაფეებმა დაიწყეს გალობა. თვით სამრევლო სკოლის დაარსება და მისი კეთილ გზაზედ დაყენება ნაყოფია დეკანოზ ღამბაროვის დაუღალავის შრომისა და მეცადინეობისა. იგივე მამა დეკანოზი არის საღმრთო სჯულის მასწავლებლად; იგივე ასწავლის სამოციქულოს კითხვას ქართულად, რასაც კორესპონდენტი აწერს მასწავლებლის ზარკამეს.

მოვიდა თუ არა დეკანოზი ღამბაროვი ოქონის ეკლესიაში, დაუწყო მრევლს წმინდა ქართულ ენაზედ ქადაგება ყოველ კვირა-უქმე და საუფლო დღესასწაულებში. აი ეს იყო და არის მიზეზი მისი, რომ ბლომად დადის ხალხი ოქონის ეკლესიაში და არა გალობა მოწაფეებისა.

კაცმა სიმართლე უნდა თქვას, რომ ოქონის სკოლის მოწაფენი მშვენივრად გალობენ. მხოლოდ ჰგალობენ რუსულად და არა ქართულად. ეჭვი არ არის, რომ ერთი ორად მეტი ხალხი ივლიდა ოქონაში, თუ სკოლის მოსწავლეები ისევე მშვენივრად, თუნდ უხეიროდაც, იგალობებდნენ ქართულად, როგორც რუსულად ჰგალობენ. გორში ერთად-ერთი ოქონის ეკლესია-ღა იყო, რომელშიაც ქართულ ენაზედ სრულდებოდა აქამდის, ვიდრე სამრევლო სკოლის მოსწავლენი დაიწყებდნენ გალობას, ყოველი ღვთის მსახურება. მხოლოდ ძლიერ გვაკვირვებს ახლა ის გარემოება, რომ მღვდელი ქართულად ჰლოცულობს, მგალობელნი-კი რუსულად ჰგალობენ. მწყობრი გალობა, რა ენაზედაც უნდა იყოს, მართალია სასიამოვნო არის, მაგრამ სულ სხვა არის მოსმენა გალობისა და მასთან მწყობრისა სამშობლო ენაზედ, ნამეტნავად იმ ხალხისათვის, ვისაც რუსული სრულიად არ ესმის. ბევრისაგანაც გამიგონია ამის შესახებ საყვედური მამა დეკანოზ ღამბაროვზედ: დალოცვილი იმითი მართლულობს თავსაო, რომ მასწავლებელმა არ იცის ქართული (სუცური) კითხვა და გალობაო.

X.

## ბ-ნ ი. ქუთათელაძის წერილის გამო

„ივერიის“ მე-74 №-ში დაბეჭდილია ბ-ნ იოს. ქუთათელაძის წერილი: „ჩვენის ქვეყნის მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ“. მართლაც, ვინც-კი მისდევს აბრეშუმის მოვლა-მოშენებას, ყველასათვის საყურადღებოა ეს წერილი, რადგანაც, როგორც ბ-ნი ქუთათელაძე ჰბრძანებს, უმეტესი ნაწილი აბრეშუმის თესლისა წელს უვარგისი აღმოჩენილა, მაგრამ კარგს ინებებდა ბ-ნი ქუთათელაძე ეს წერილი დროზედ დაებეჭდა გაზეთებში მით უფრო, რომ იმის საშუალებით ყველას შესძლებოდა დროზედ გაეგო, რომელი ფირმის თესლი იყო კარგი და რომლისა უვარგისი. ეს ძლიერ საჭირო იყო, რადგან წელს სამეგრელოში არ დარჩენილა ისეთი ოჯახი, სადაც ნებით თუ ძალით არ დაერიგებინოთ სომეხ-ურია-ბერძნებს და მათს აგენტებს აბრეშუმის თესლი. ეხლა მხოლოდ ესღა დარჩენიათ, რომ ვინც იცის აბრეშუმის ჭიის რიგიანი მოვლა-მოშენების საქმე, ნუ დაიზარებს კალმით მაინც მიაწოდოს ცნობა ჩვენს მეაბრეშუმეებსა, რათა მათმა ტანჯვა-შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს. მაგრამ ყოველივე ცნობა-დარიგება ამ საქმის შესახებ ეხლავეა საჭირო, რადგანაც აბრეშუმის ჭია ეხლა ყველგან გამოსულია. აგრეთვე იმედია, რომ ბ-ნი ი. ქუთათელაძე, როგორც თავისს წერილის ბოლოს ჰბრძანებს, მალე მიაშველებს დაწვრილებითი ცნობას მეაბრეშუმეობის შესახებ ჩვენს მეაბრეშუმეებს. ამით იგი და სხვებიც დიდს სამსახურს გაუწევენ ჩვენს უამისოდაც ეკონომიურად დაქვეითებულ ხალხს.

ტრიფონ კალანდარიშვილი

## რუსეთი

—

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მოსკოვში აზრადა აქვთ დააარსონ საელექტრო-სატეხნიკო ინსტიტუტი ამ საგანს საბოლოოდ, როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, გადასწყვეტავენ მაისში. სწავლის ვადა განზრახულ ინსტიტუტში 4 წლიწადი იქმნება. მიიღებენ სულ 460 სტუდენტს. ინსტიტუტის დაარსება მაშინ შეიძლება, თუ მთავრობამ გადასდო 60,000 მან.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები სწერენ, ამ ახლო მომავალში პეტერბურგის გუბერნიის იამბურგის მაზრაში დაარსებულ იქმნება ადგილობრივ მემამულის პ. ა. ვეიმარნის ხარჯით საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

— რუსეთის წიგნების გამომცემელთ და ვაჭართ აზრადა ჰქონდათ წელს, ზაფხულში გაემართად გამომცემელთა და წიგნების ვაჭართა კრება, მაგრამ სხვა-და სხვა მიზეზებისა გამო ეს კრება 1900 წლისათვის გადაუდვიათ. ამ ჟამად ცნობებსა ჰკრებავენ იმის შესახებ, თუ როგორ არის დაყენებული წიგნების ბეჭვდის საქმე რუსეთის დიდს ქალაქებში, როგორც მაგალითად, პეტერბურგსა, მოსკოვსა, ვარშავასა, კიევსა და სხვაგან.

## უცხოეთი

—

**ჩერნოგორია.** ჩერნოგორიის გაზეთები ამას წინად ლაპარაკობდნენ, რომ მთავრობას ფულები სჭირდება გზების გასაუმჯობესებლად და ვაჭრობის გასავრცელებლად. ავსტრიის გაზეთები იუწყებიან ეხლა, რომ ჩერნოგორიის მთავრობამ უკვე აიღო სესხად ბელგიაში 15 მილიონი ფრანკი. მაგრამ იგივე გაზეთები ჰფიქრობენ, რომ ჩერნოგორიას მარტო გზების შესაკეთებლად და აღებმიცემობის გასავრცელებლად როდი აუღია ვალი, არამედ ზოგიერთ პოლიტიკურ მოსაზრების შესასრულებლადო.

—

**ბოლგარია.** დიდი ხანი არ არის, რაც ბოლგარიის დედოფალი გარდაიცვალა, და ეხლავე ხმასავრცელებენ, რომ ბოლგარიის მთავარს სურს მეორე ცოლის შერთვაო. გაზეთების სიტყვით, პრინცი ფერდინანდი აპრილის დამლევამდე ვენაში აპირებს მისვლას, საიდგანაც კობურგში უნდა წავიდეს. ამ მოგზაურობას „Nár. L.“ უკავშირებს პრინცის სურვილს მეორედ შეირთოს ცოლი.

—

**ამერიკა.** მექსიკის ელჩად არის ვაშინგტონში ბ-ნი ასპიროზი, რომელიც ბრალმდებლად ყოფილა ბედკრულ იმპერატორ მაქსიმილიანეს განსამართლების დროს. ასპიროზს დიდი გულცივობა და სისასტიკე გამოუჩენია ხსენებულ საქმის გარჩევის დროს; უმთავრესად იმას აბრალებენ, რომ ყოველმა მეცადინეობამ ფუჭად ჩაიარა, როგორმე გადაერჩინათ იმპერატორი. სხვა სახელმწიფოების ელჩები ვაშინგტონში ეხლა ჯავრს ჰყრილობენ ასპიროზზე და შემთხვევას არ ჰკარგვენ, რაიმე უსიამოვნება მიაყენონ. ამ რამდენიმე ხნის წინად ბელგიის ელჩს გრაფ ლასტერვედეს დიდი ლხინი გარდუხდია, რომელზედაც ვაშინგტონის საუკეთესო საზოგადოება მიუწვევია, ასპიროზის გარდა. შეერთებულ შტატების მთავრობას სადილი გაუმართავს მექსიკის ელჩის პატივსაცემლად, მაგრამ ამ სადილზე ევროპის სახელმწიფოთა სალჩოების არც ერთი წევრი არ მისულა. ევროპის დიპლომატების ასეთმა საცნაურო დამოკიდებულებამ ასპიროზსთან დიდი გავლენა იქონია ვაშინგტონის წარჩინებულ კაცებზე და ისინიც ერიდებიან მექსიკის ელჩს.

—

**ფილიპინები.** ამერიკელ გენერალის ლაუტონის ჯარმა თავი დაანება ბრინბანს, ლანგონს, სანტა-კრუს და სხ., რომელთა დაჭერა ერთობ ძვირად დაუჯდა ხსენებულ გენერალს, და მანილასაკენ დაიწია. ამერიკელების ასეთ მოქმედების მიზეზად ბევრს რასმეს ასახელებენ: ზოგნი ჰფიქრობენ, რომ რადგან წვიმების დრო დადგა არხიპელაგზე და ლაუტონის მცირე ჯარი

---

ნი?! სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევა შენი?!“ გაჰყვიროდა მღვდელი ხმამაღლა: იქ იგი ხარობდა, რომ „სიკვდილი დაითრგუნა“, დაიჯობნაო და აქ-კი გულ-მოკლული კატინე სიკვდილს იწვევდა თვისის გამაუბედურებელის დასათრგუნავად, გასანადგურებლად... ქრისტეს სიკვდილზედ გამარჯვება მისთვის დღეს აუხსნელი და გაუგებარი იყო?!. მისთვის დღეს „აღდგომა“ კი არა, მხოლოდ სიკვდილი, დამდაბლება და ტანჯვა სუფევდა... იქ საყდარში ყველა ერთმანეთს პატიებას, შენდობას აძლევდა, ყველაფერ ბოროტებას ივიწყებდა და კატინე-კი დასჯასა და განადგურებას თხოულობდა და არა პატიებასა და შენდობას....

აღდგომა დღე, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველამ მხიარულად გაატარა. მაგრამ მთელი სოფელი იმ საღამოსათვისაც ძალას ინახავდა, რადგანაც იმ ღამეს ღვთისმშობლისათვის ღამე უნდა ეთია, მეორე დღეს—ორშაბათს ღვთისმშობლობა იყო. ეს ეკლესია თედო გამდლიშვილის მამა-პაპას აეშენებინა და თავიანთს ეკლესიად მიაჩნდათ, რისთვისაც ძველადგანვე იქვე ეკლესიის გალავან ში ქვევრით ზედამეს ინახავდნენ და კვირა ღამეს მთელს სოფელს უმასპინძლდებოდნენ. აგერ კიდეც დაბინდდა და ყველა სამზადისს შეუდგა ღამის თევისათვის: რიგი ლოგინს მიარბენინებდა, რიგი საფენს, რიგი აკვანს ბავშვებისათვის და სხვ.. გაიმართა სიმღერა-თამაშობა და ყველა ამ მხიარულებაში იყო ჩაბმული. ეკკლესიის გალავანში დიდი ცეცხლი გაეჩაღებინათ, გვერდზედ ყმაწვილი ბიჭები მოსხდომოდნენ და ოხუნჯობით კვერცხების დაკვრა გაეჩაღებინათ... ცეცხლზედ კიდევ საჭმელი იხარშებოდა და მისი ალი მთელს გალავანს ანათებდა....

თამაშობით რომ მოილაღნენ, სუფრის გაშლას მიჰყვეს ხელი. ყველა უბანი ცალ-ცალკედ სხდებოდა, თუმცა კი ისე ახლო-ახლო გადაბმით, რომ ყველა ერთად ერთს სუფრას წარმოადგენდა. ყველამ თავთავისი ხორაგეული ამოალაგა და სუფრაზედ გაამწკრივა.. სმა ჭამას მიჰყო ყველამ ხელი. პატარახანს უკან სადღეგრძელოები, ოხუნჯობა და მრავალჟამიერიც გაჩაღდა და ღამის მთეველთა სიმღერა მთელს სოფელს ეფინებოდა...

თედო გამდლიშვილის ოჯახიც ამ მხიარულების ფერხულ ში ჩაბმულიყო. რომ ეჭვი არავისთვის აეღებინებინა თედოს, იმ ღამეს თავის ოჯახს მიუერთდა, იმათთან დაიწყო ვახშამი. მაგრამ გული-კი სხვა კუთხისაკენ იყურებოდა... ძალე თედო სხვა ადგილას გადაიწვიეს, „სიმღერას ხმა მიეცი, მობანე არავინა გვყავსო“. ყველამ იცოდა თედოს გულის ტოკვა და თომაანთ ქვრივს მიუახლოვეს... ამ დროს დედამიწა რომ გამსკდარიყო და კატინე თან ჩაეტანა, ერჩივნა... როგორ? გაიფიქრა კატინემ, ჩემ თვალწინაც-კი არა თაკილობენ ასეთს გარყვნილობას, ჩემს დამცირებას ქვეყანას ამცნობენ?! საჯაროდაც, ჩემს თვალ წინ, სჩადიან ყველა ამას?!! ეკითხებოდა თავისს თავს და იქიდამაც ეს ხმა ესმოდა: „ჰო, შე საცოდავო, კატინე, ეგრე გაგათახსირეს, აგეთი დაუნდობელია ეს წუთი-სოფელი“-ო.

კატინე აღელვა ამ მდგომარეობამ, მთლად დაებნა გონება და არ იცოდა რა ექმნა... მზად იყო ყველაფერი ჩაედინა, ყოველი დანაშაული, ოღონდ შებღალული და დამცირებული თავმოყვარეობა რითიმე აღედგინა. „რა ვქნა? ჩაეკითხა კიდეც აღელვებული კატინე თავის გულს!? ავდგე და საქვეყნოდ, ყველას წინ, გამოვაცხადო, რომ ის ერთხელ ჩემი თედო ისევ ჩემია, მე მეკუთვნის კანონით და ეკკლესიამაც მე მაკუთვნა და დამაულლა მასთან? ავდგე და საქვეყნოდ თავსლაფი დავასხა იმ ურცხვს, სინიდისზე ხელ-აღებულს დედაკაცს?“ ათასმა აზრმა გაურბინა თავში და ამ დროს გული მისი ბუდიდგან ამოვარდნას ლამობდა. სიმწარით თითები კინაღამ დაიმტვრია.. ბოლოს აიღო თავი და აქეთ-იქით მიიხედა, ეგონა, ჩემი განზრახვა სხვებმაც გაიგეს და გულში ყველა დამცინისო... მაგრამ კატინე ფიქრადაც არავის მოსვლია, ყველა სიმხიარულით იყო დაბნედილი და გაჟღენთილი. „მაშ რა ვქნა?“ ცოტას ხანს თვალები რაღასაც მიაშტერა და თითქოს მის გონებაში რაღაცა გადასწყდა. უცბად, ყველას შეუმჩნევლად, ადგა სუფრიდგან და სამრეკლოსკენ გაემართა... წვრილ-ფეხობას ეძინა და სუფრაზედაც თითქოს მეტის მხიარულებისგან ისვენებდნენ, ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდნილიყო... ამ დროს კატინე საყდრის ზარის წინ იდგა ხელებ აღპყრობილი და არისხებდა იმას, ვინც მოუწამლა სიცოცხლე: „ღმერთო, შენი რისხვა დაეც თომაანთ ქვრივს, დაადუნე მისი ენა და დააკუტე... როგორც მე მემართლებოდეს, ისე მიუსაჯე ყველაფერი!!.“ ეს იყო მისი გულის ბოღმა, ეს იყო მისი უკანასკნელი ამოოხვრა... ამ მოწოდებულს ღვთის რისხვაში გამოჰხატა კატინემ თვისი გულის ტანჯვა, ის ვარამი, რომელიც დიდი ხნის წყლულისაგან გულში ჩასჯდომოდა და სიცოცხლეს ნელ-ნელა უსპობდა... ყოველი აქამდის ნატანჯი, ნაგრძნობი და თავს-გადავლილი ამ ვედრებაში მოაქცია, გაახვია ერთად და ღმერთს მიუძღვნა სამართლის დასადებად. გაათავა „რისხვა“ და აღელვებულმა, მთლად გაფითრებულმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა ზარი ჩამორეკა... „გლოვაზარი“.. ეს იყო „დარისხება“, საშინელი „ზარი“ ყველასათვის, რომელიც ხალხის რწმენით მუდამ სრულდებოდა და დარისხებული არსება რისხვას არასოდეს არ ასცდებოდა. რადგანაც ასეთი საშინელი რამ იყო ხალხისათვის დარისხება, ამისათვის იშვიათად მიჰმართავდნენ ხოლმე ამ საშუალებას და თუ ვინმე „დაარისხებდა“ ვისმეს, მაშინ-კი ღვთის-რისხვა თავისას იზამდა... ყველამ ყურები აცქვიტა: ამ შუაღამისას ზარის რეკა? ეხლა, როდესაც ყმაწვილებსა სძინავთ და დიდები-კი ქეიფს მისცემიან? გაიხედა ერთმა ღამის მთეველმა და დაინახა ხელებ-აღპყრობილი კატინე მთლად მთრთოლვარე და გაშტერებული... მობრუნდა უკან იგი და ღამის მთეველთ ხმის კანკალით უთხრა:

— „კატინემ ვიღაც დაარისხა“!.. იქ მყოფთ ჟრუანტელმა დაუარა ტანში... დარისხების ძალა ყველას სწამდა და ამ ამბავმა ყველას ენა ჩაუგდო... ყველა ფეხზედ წამოვარდა... თომაანთ ქვრივი და თედო-კი გაფითრებულები შიშისაგან ერთმანეთს შესცქეროდნენ, ჰგრძნობდნენ, რომ იგი „დარისხება“ იმათკენ იყო მიმართული... ყველა მიხვდა, რომ კატინემ თომაანთ ქვრივი დაარისხა და გულში თითქოს ყველამ კმაყოფილება იგრძნო... ბევრმა გაიფიქრა, „რომ ბაბალმა დაიმსახურა ასეთი უბედურება, ახი არისო“...

უნდოდათ კატინე დაებრუნებინათ, ენუგეშებინათ, მაგრამ გვიანღა იყო... ის გონიერთა სიაში აღარ ეწერა... ამ წუთმა მისი გონება მთლად არია, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო... კატინე რაღასაც ბუტბუტებდა უაზროდ და ყველას გაშტერებული და გონება დაბნეული შესცქეროდა...

ალ. სოლოღაშვილი

ჭუავდა, თავისი იმედი აღარ ჰქონდა და საუმჯობესოდ დაინახა ჩრდილოეთისაგან დაიხიოს და ზაის ნავთსადგურთან ამერიკის ესკადრის მახლობლად დაბანაკდეს, სადაც მტრის შიში აღარ ექმნებათ; სხვები იმას ასახელებენ, ვითომც ლაუტონის ჯარში მყოფ ვოლონტიორებს (თავისის ნებით გასულ მეომრებს) განეცხადებინოთ, რომ აღარ გვსურს ფილიპინელებს ვებრძოლოთ და უმიზეზოდ ვხოცოთ, როდესაც იმათ მხოლოდ ის დანაშაული მიუძღვით, რომ თავიანთ სამშობლოს დამოუკიდებლობა სურთო.

ფილიპინელების ჯარის უმთავრესი ბანაკი არის ეხლა ტარლაკში, მანილადგან 50 მილის მანძილზე. იმის დამთავრებას ფილიპინელების დამარცხებით ჯერ არ მოელიან; თითონ ოტისი, ამერიკის ჯარის მთავარ-სარდალი, ასე ჰფიქრობს თურმე, რომ 100,000 ჯარის-კაცია საჭირო ამ საქმისათვისო.

ფილიპინელთა შორის ერთი დასია, რომელსაც სურს არხიპელაგი მოურიგდეს ამერიკას შემდეგის პირობებით: არხიპელაგი დამოუკიდებელ ქვეყნად იქმნას აღიარებული, ეხლანდელი მისი მთავრობა განონიერად ჩაითვალოს და პირობა დაიდოს, უოკელგვარი თანამდებობა ფილიპინელებს ჩაჰბარდეს. შეერთებული შტატები მხოლოდ პროტექტორი (მფარველი) უნდა იყოს კუნძულებისა. როგორც ეტყობა, ამერიკელები თანხმანი არიან მიიღონ ეს პირობები, რათა გაჭირვებულ მდგომარეობას თავი დააღწიონ, მაგრამ ხსენებულ ზომიერ დასს დიდი გავლენა არა აქვს არხიპელაგზე, განსაკუთრებით ეხლა, როცა ფილიპინელებს დიდი იმედი აქვთ სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისა.

## დამაკვირდი

სიმდაბლე არს სიმდიდრისაგან სიმცირისა ნდომა.

სულხან საბა

***

მიღსაცა შინა თვისსა კაცი გვლარძნილი სცემდა ჭანგსა თვისსა კეთილად მზრუნავთა კაცთა.

ლასურიძე

***

დიდი და მცირე სწორად სჩანს, ეტლია დაუდგრომელი; არ მოურჩების, სოფელსა ვინც გაჰყუა, წაუხდომელი, და ეგრეგვე კარდი გამდიდი ზამთარსა დაუზრობელი.

როსტომიანი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ელექტრონი დღეს თითქმის ყველა საქმეში გამოიყენეს: იმის შეოწეობით მატარებლებს დაატარებენ, შორს მანძილზედ ერთმანეთს ელაპარაკებიან, დეპეშებსა ჰგზავნიან, ზოგიერთ ავადმყოფობას არჩენენ და მრავალი სხვა. მცოდნე კაცები ამბობენ, რომ შემდეგში ისეთი საქმე არ იქმნება, რაშიაც ელექტრონის მოხმარება არ შეიძლებოდესო. ისე დღე არ გავა, რომ გაზეთებმა არ გვაუწყონ, ამა და ამ კაცმა ელექტრონის შეოწეობით ესა და ეს გააკეთაო. ამ უკანასკნელ დროს შესანიშნავმა ფიზიკოსმა ტინდალმა (ინგლისელია) გამოიკვლია, რომ ელექტრონის შემწეობით სამაგალითოდ შეიძლება წყლის დაწმენდა. მოგეხსენებათ, ყველგან ერთ ნაირი წყალი არ არის. ბევრი წყალი მრავალ სხვა და სხვა ბაცილას და თვალთაგან უხილავ მწერს შეიცავს. ასეთის წყლის ხმარება არა ერთსა და ორს ავადმყოფობას აჩენს მცხოვრებლებს შორის. ბევრს ადგილებში მთელი სოფლებია, რომლის მცხოვრებელნიც ასეთის წყლის ხმარებისაგან არიან დასნეულებულნი და დაავადებულნი. ეხლა-კი ასეთის წყლის დაწმენდა და ბაცილებისა და მწერებისაგან განთავისუფლება ელექტრონის შემწეობით ადვილია. როგორც ფიზიკოსს ტინდალს გამოუკვლევია, საჭიროა მხოლოდ ელექტრონის ტოკი გაატაროთ წყალში და ყველაფერს ამოწყვეტავს, რაც-კი რამ შიგ მავნე ბაცილა და მწერია. ამგვარად გაწმენდილი და გასუფთავებული წყალი სრულიად უვნებელი და უზადოა თურმე. ზოგიერთ ადგილებში უკვე შესდგომიან ელექტრონის შემწეობით წყლის დაწმენდა-დასუფთავებას.

ეს კიდევ არაფერი. მეორე მეცნიერს, ამერიკელს ტესლას სრულიად შემთხვევით გამოუკვლევია, რომ ელექტრონის შემწეობით შეიძლება ადამიანის სხეულის განთავისუფლება ყოველგვარ მუწუკებისა, მეჭეჭებისა და სხვა ამ გვარ ხორცმეტებისაგან, რომელნიც მრავლად ჩნდებიან კანზედ და აგრეთვე იმ მიკრობებისაგან, რომელნიც ხშირად კანს ქვეშა ჰბუდობენ. როგორცა ვთქვით, ტესლას ეს სრულიად შემთხვევით გამოუკვლევია. მეცნიერი თავის ლაბორატორიაში ელექტრონის მანქანასა სცდიდა და ამ მანქანით ტოკს უშვებდა. იქვე კუთხეში სპილენძის დაფა მდგარა, რომელიც შავის წამლით ყოფილა შეღებილი. მანქანის გამოცდის დროს ელექტრონის ტოკი ამ დაფას მოჰხვედრია და როდესაც ტესლას შეუხედნია, დაუნახავს, რომ დაფა გაბრწყინვებულ-გასუფთავებული და შავის წამლისაგან სრულიად გაწმენდილი ყოფილა. ტესლას ახალ დაფაზედ უცდია ესა და ამ ცდასაც იგივე შედეგი მოჰყოლია. შემდეგ ტესლას უფიქრია, შეიძლება ელექტრონის შემწეობით ადამიანის კანიც გაწმენდილ იქმნას მუწუკებისა და მეჭეჭებისაგანაო და შესდგომია კიდეც ამის გამოცდას. საფიქრებელი მხოლოდ ისა ყოფილა, გაუძლებს და აიტანს თუ არა კაცი ელექტრონის გაძლიერებულს ტოკებს. ტესლას ეს თავის სხეულზედ უცდია. შემდგარა სკამზედ და ელექტრონის მანქანით ტოკი მიუმართავს სხეულზედ. რამდენსამე წამს ტესლას ტანიდგან ელექტრონის ნაპერწკლები სცვივოდა თურმე. როდესაც გამოცდა გაუთავებია და სრულიად უვნებელი გადარჩენილა, ტესლა გაკვირვებულა: იმის ტანზედ აღარც ერთი მუწუკი, მეჭეჭი და სხვა ამ გვარი რამ აღარ მოიპოვებოდა თურმე. ტესლას სხვა გვარადაც უცდია და დარწმუნებულა, რომ ელექტრონი უებარი საშუალებაა ადამიანის კანიდგან მუწუკებისა და მეჭეჭების განსაშორებლად. მხედველობაში იქონიეთ, რომ დღემდის მკურნალები დიდს ტანჯვაში იყვნენ ამ მუწუკებისაგან: უმეტეს ნაწილად მათ წამლობას ნაყოფი არ მოჰქონდა. საყურადღებო აქ კიდევ ის არის, რომ ასეთ წამლობას არც დიდი დრო უნდა და არც დიეტა არის საჭირო: სულ ერთი თუ ორი წამია მხოლოდ საკმაო ამ საქმისათვის.

## სიმართლის აღდგენა

ანუ

## „კვალის“ გულმავიწყრობა.

„კვალის“ № 12 მოთავსებულია წერილი რედაქციისა ერთობ იურიევის სტუდენტების შესახებ და კერძოდ ყაზახაშვილისა. რადგან რედაქციისაგან აღძრულ საგნის შესახებ ცოტა რამ მეც ვიცი, ამიტომ მინდა ჩვენს საზოგადოებას და ყაზახაშვილის ამხანაგებს გავუზიარო ზოგი რამ ფაქტი, აღვადგინო სიმართლე, რამდენადაც ვიცი. ყაზახაშვილი ჩემთან ერთად ორჯელ იყო „კვალის“ რედაქციაში პიოსპიო ნ. ჟორდანიასთან მოსალაპარაკებლად და, რადგან ბ-ნი ჟორდანია ვერც ერთიელ ვერა ჰნახა, მესამედ, უჩემოდ, თუ არა ვცდები, სტუდ. მაყაშვილთან ერთად წავიდა რედაქციაში და მოელაპარაკა თვით ანასტასია წერეთლისას და გასამართლებელი საბუთებიც წარუდგინა. რომ ეს ასე იყო, აი საიდგანა სჩანს: ან. წერეთლისასთან მოლაპარაკების ცოტა ხნის შემდეგ მე და ყაზახაშვილი შევხვდით გოლოვინის პროსპექტზედ ბ-ნ ნოე ჟორდანიას. ყაზახაშვილმა დაუწყო ლაპარაკი და, როდესაც თავისის ნათქვამის შესამოწმებლად საბუთების ჩვენება უნდოდა, ბ-ნმა ჟორდანიამ უთხრა, საჭირო აღარც-კია, რადგან რედაქციაში უკვე მითხრეს მაგათ შესახებაო. მაინც კიდევ გადაიკითხა ეს საბუთები დ უთხრა ყაზახაშვილს, რომ ახლა-კი მჯერა თქვენი სიმართლე და ვწუხვარ, რომ ჩვენმა კორრესპონდენტმა ასეთს შეცდომაში შეგვიყვანაო, ამასთან შეჰპირდა, რომ შევეკითხები მაინც კიდევ კორრესპონდენტს და მერე ყველაფერს გამოვაცხადებ კვალშიო“. განვლო ხანმა ამის შემდეგ და კიდევ შევხვდით ბ-ნ ჟორდანიას იმავე გოლოვინის პროსპექტზედ. ყაზახაშვილი შეეკითხა, როდის აასრულებთ დაპირებულს და გამოაცხადებთ გაზეთშიო. ნ. ჟორდანიამ უპასუხა, რომ ჯერ გელეიშვილისაგან პასუხი არ მიგვიღია, და კვლავ შეჰპირდა, პასუხის მიღებისათანავე დაუყოვნებლივ გამოვაცხადებთო.

ვიცი ისიც, რომ ყაზახაშვილს მართლა ძალიან ეინტერესებოდა კორრესპონდენტის ვინაობის გაგება. მეინტერესება იმიტომაო, ამბობდა ყაზახიშვილი, რომ მინდა გავიგო სახელი იმ სტუდენტისა, რომელსაც ასეთი სიცრუით სავსე დასმენით შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება და „კვალის“ რედაქცია იურიევის სტუდენტების შესახებ და ტყუილა-უბრალოდ ჩირქსა გვცხებსო.

გიორგი ანანიაშვილი

## მცირე შენიშვნა.

„ივერიის“ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ამ რამდენისამე წლის წინად ახალ-სენაკში დაარსდა „სამეგრელოს საჯარო წიგნთ-საცავ-სამკითხველო“. პირველ ხანებში, ე. ი. ერთს წელიწადს იგი ჩინებულად მიდიოდა, მაგრამ მისმა ძიძა-გამზრდელებმა—ბ. მიქაძემ და წიგნის მაღაზიის პატრონმა კ. თავართქილაძემ უკუღმა დაატრიალეს იმისი ბედი. ამათ შორის ატყდა ერთი ვაი-ვაგლახი და ურთ-ერთ შორის სიძულვილ-მტრობაც ჩამოვარდა, რის გამოც ეს ყოვლად თანაგრძნობი საქმე მაშინვე ჩაიშალა. „ჩვენ ვერ ვიტყვით იმას, თუ ამ ორში ვის მიუძღოდა სიმართლე ამ საქმეში; ეს მთელმა ახალ-სენაკის საზოგადოებამ უკეთ იცის, ხოლო ის, რაც „საჯარო წიგნთ-საცავში“ მოიპოვებოდა, მაგ., წიგნები, 5 კაპ. დაჭყებული 3 მანეთამდე ღირებული, სულ კ. თავართქილაძეს დარჩა მას შემდეგ, რაც იგი დაიკეტა. დარჩა აგრეთვე მას 6 ცალი ვენის სკამი, ერთი გრძელი მაგიდა თავისის სუფრით, ერთი შკაფი და ქართველ მწერლების დიდი სურათები ჩარჩოებითა და სხვა. მას აქეთ აგერ ხუთი თუ ექვსი წელიწადი გავიდა, მაგრამ არაფერი სჩანს. მიქაძე სამსახურისა გამო სენაკში ეს ოთხი წელიწადია, რაც არ იმყოფება. ხოლო კ. თავართქილაძე მუდამ სენაკშია და იმის ხელში იმყოფება ყოველივე წიგნ-ჟურნალ-გაზეთები, რომელიც „წიგნთ-საცავის“ სახელზედ იყო გამოწერილი. ვერ გაგვიგია, კ. თავართქილაძე რატომ წიგნების რაოდენობას არ აუწყებს საზოგადოებას? სასურველია ვიცოდეთ, მიისაკუთრა მან „წიგნთ-საცავის“ წიგნები და სხვა კუთვნილება, თუ რა ჰქნა?!

ოდიშელი

## შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო თავის აგენტის ექიმის ლუკა ჯავახიშვილისაგან შვიდი თუმანი, რომელიც ყოფილა წმინდა შემოსავალი მის თაოსნობით 28 მარტს გამართულის წარმოდგენისა სოფ. თიანეთში. როგორცა სჩანს ბ-ნის ჯავახიშვილისაგან წარმოდგენილის ანგარიშიდგან, ერთიანი შემოსავალი ყოფილა 91 მ. 21 კ. (აქედგან 52 მ. 47 კ. ბილეთების ფასი, 18 მ. 10 კ. საპატიო ბილეთებისა და 20 მან. 64 კ. კერძო შემოწირულობა), ხარჯი 21 მ. 21 კ., წმინდა შემოსავალი 70 მან.

საზოგადოების გამგეობა თავის მოვალეობად სთვლის გამოუცხადოს უღრმესი მადლობა როგორც წარმოდგენის გამგეს ბ-ნს ლუკა ჯავახიშვილს, ისე წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ: ქ-ნთ ა. ბოდოევისას, ე. გიორგიევისას, გოცირიძისას და ელ. ჯავახიშვილისას და ბ-ნთ ვ. ლაზარევს, ს. პაპოვს, ი. ჩიბალაშვილს და თ. ი. ჯანდიერს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 აპრილი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესს შვილებითურთ ცარსკოე სელოში წაბრძანდნენ.

20 აპრილს ხელმწიფე იმპერატორი და საიმპერატორო გვარეულობის წევრები მარიის თეატრში ბრძანდებოდნენ, სადაც ინვალიდთა სასარგებლოდ წარმოდგენა იქმნა გამართული.

**რომი.** კაბინეტი სამსახურიდგან გადადგა.

**მადრიდი.** ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნებულია საბოლოვოდ დამტკიცებულის სამშვიდობო ხელშეკრულობის პირი.

სამხედრო სასამართლომ დაადგინა, განთავისუფლებულ იქმნეს შამონი, რომელიც წარმოდგენის დროს თეატრში დააპატიმრეს.

**პარიჟი.** სინგაპურიდგან დეპეშით ატყობინებენ „Herald“-ს, რომ პროვინცია ლუანგი საფრანგეთს გარდაეცაო.

ზნე-ხასიათის გამასწორებელ პოლიციის სასამართლომ „მამულისშვილთა ლიგის“ უმთავრესს მდივანს ლემენიუეს 16 ფრანკი ჯარიმა მიუსაჯა. განაჩენის გამოცხადების დროს „ლიგის“ იქ დამსწრე წევრებმა ხმაურობა ასტეხეს და ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს ლიგას, გაუმარჯოს დერულედს! შორს ჩვენგან მოღალატენიო!“

22 აპრილი

**მოსკოვი.** ამ დღეებში აღმოაჩინეს დოკუმენტი პუშკინისა და გონჩაროვის ქალის შეუღლების შესახებ. ეს დოკუმენტი აღმოჩნდა ამაღლების ეკკლესიაში, რომელიც ნიკიტის დიდს ქუჩაზე იმყოფება. ქორწინება ძომხდარა 1831 წ.

**პარიჟი.** „ტემპს“-ი ამბობს, რომ საკასაციო პალატას ამ ჟამად ხელში აქვს ის ცირკულიარი სამხედრო მინისტრისა, რომელიც გამოცემულია 1894 წ. 17 მაისს და რომელშიაც ნათქვამია, რომ აფიცრები არ დაესწრონიან ამ წლის ალლუმებსაო. მაშასადამე დრეიფუსი აგვისტოში, ბორდეროში ვერ დასწერდა: „ალლუმებზე უნდა წავიდეო“.

**რომი.** კაბინეტი იმიტომ გადასდგა სამსახურიდგან, რომ დიდი საყვედური გამოუცხადეს კანევარის ჩინეთის პოლიტიკისათვის.

## წერილები რედაქციის მიმართ

ჩემის მოსწავლეებისა და ჩემის მხრით დიდს მადლობას უძღვნი ბ-ნთ ალექსანდრე იოსების ძე ხაპულიანს და გრიგოლ მიხეილის ძე ფხალაძეს. პირველმა უსასყიდლოდ დაურიგა ჩემს მოსწავლეებს ოცდა ხუთი ცალი თავის მიერ დაწერილ წიგნაკისა „პატარა-კონა“, ხოლო მეორემ დაუკვეთა ამა მდგომარე წლის საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“.

პერევისის სკოლის მასწავლებელი
ვანო გიუნაშვილი

—

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ქ-ნ პარასკევა ქავთარაძისას, რომელმაც კეთილინება და 20 მან. შეაგროვა ჩემს სასარგებლოდ. მადლობას ვუცხადებ აგრეთვე ყველა შემომწირველთ. ფული უკვე მივიღე.

სტუდენტი ა. დგებუაძე
მოსკოვი

# განცხადებანი

ПРЕДОСТЕРЕЖЕНІЕ.
ВЫСОКІЯ ДОСТОИНСТВА НАШИХЪ ИЗОБРѢТЕНІЙ:
Цвѣточнаго о-де-колона,
Глицериновой пудры,
усовершенствов. Глицериноваго мыла
и парфюмеріи „Персидская сирень“,
вызываютъ массу подражателей, что и вынуждаетъ насъ просить гг. покупателей обращать вниманіе на нашу фабричную марку и фирму.
БиК[а] БиК[а] БРОКАРЪ и К[о] ВЪ МОСКВѢ. ФАБРИЧН. ШТЕМПЕЛЬ УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛ. 1864 г. 1864 г.
(11—მ.—8)

„პატარა კახი“
ნამდვილ კახურ ღვინის გასაცნობად გაიხსნა ახლად საწყობი „პატარა კახი“ კუკიაში, პირველ თუმანიანთ ქუჩაზედ, ნ. ვ. მთვარელიშვილის სახლ ქვეშ, № 18. ბოთლი 15 კ., ხოლო ვედრო 2 მანეთიდამ დაწყებული. (5—5)

წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (Дворц. ул. д. т. д. № 101) ისყიდება
იაფად
სადღესასწაულოდ ბავშვებისათვის საჩუქრად გრ. ტატიშვილის მიერ გამოცემული საყმაწვილო სურათებიანი წიგნები:
1, ხუმარა სპილოები . 10 კ.
2, გედები . . . . 10 კ.
3, კეთილი ძაღლი. . 10 კ.
იქვე იყიდება კანვაზედ საკერი ანბანი 40 კაპ. და ჩართული (გლადით, საკერი) ანბანი 1 მ. (—6.—4)

წყალ-წმიდის ძმობისაგან.
წყალ-წმიდის სამრეველო-სამეურნეო სკოლაში ასწავლიან საეკკლესიო გალობას ნოტებით, ბ. ს. ლოსაბერიძის ლოტბარობით. მსურველთ შეუძლიანთ (კერძო კაცებს) ისწავლონ უსასყიდლოდ. რაც შეეხება ხარჯსა და ბინას, სკოლის მმართველი მისცემს, შეძლებისა დაგვარად, შეღავათით ბინასა დ ხარჯს, თუ ცოტას იმუშავებს, ან ფულად.

Дозволено цензурою, Тифлисъ 22-го Апрѣля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე